ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა. მან განაცხადა, რომ "ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება "ბორჯომის ჯანმრთელი მომავლის" ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 25 და 26 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას დაეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 115 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ტექნიკური ხარვეზის გამო, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემაში, II სტანდარტთან მიმართებით მონიშნულია შეფასება „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ნაცვლად - „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს შენობის ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს და პროცესები არ შეფერხდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:27

დასრულების დრო - 16:36

"ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება "ბორჯომის ჯანმრთელი მომავლის" (ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, "ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება "ბორჯომის ჯანმრთელი მომავლის" ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 115-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 25 მაისისა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ფარის საბავშვო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, თეა ბაქრაძემ. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში - ფარის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 6 და 7 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2- დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025); სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 15. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეოთხე სტანდარტი, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზის გამო 4.3 ჩეკლისტში ტექნიკური ხარვეზის გამო "ფარის საბავშვო ბაღი"-ს ნაცვლად მითითებულია "ხაიშის საბავშვო ბაღი". ასევე, მორე სტანდარტი მონიშნულია როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ზოგიერთ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო დასკვნაში მითითებული ნაწილი ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა მუნიციპალიტეტის მხრიდან შენობების ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებისათვის გადაცემის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე დაწყებულია მუშაობა და უახლოეს პერიოდში შენობა-ნაგებობა გადაცემული იქნება ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაზე. საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის საკითხით, ვინაიდან დასკვნაში ასახული გარკვეული რეკომენდაციები მოითხოვს ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებას.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა განმარტა, რომ ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას სრული მხარდაჭერა აქვს მესტიის მუნიციპალიტეტისგან და ინფრასტრუქტურული თუ სხვა გამოწვევების აღმოსაფხვრელად დაწყებული აქვთ გარკვეული ქმედებების განხორციელება.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი ასევე დაინტერესდა ცენტრალიზებული წყალმომარაგების საკითხით.

სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, გულთამაზე ხოროიშვილმა დააზუსტა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული წყალმომარაგებით, ხოლო კანალიზაცია არ არის ცენტრალიზებული და დაერთებულია საასენიზაციო ორმოზე, რომელიც უზრუნველყოფილია თვითწმენდვადი დანადგარით.

საბჭოს მდივანმა, თამარ ჩიკვილაძემ კითხვა დასვა ღობის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მიმდინარე წელს შეძლებს ღობის რეაბილიტაციას.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა დაინტერესდა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებისა და აღმზრდელ პედაგოგის შტატის არსებობის საკითხებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი გადამზადებულია აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულით. ასევე, შარშან გადამზადდნენ ძველი კურიკულუმის ფარგლებში, ხოლო ახალი კურიკულუმის ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება დაგეგმილი აქვს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს და გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. ასევე, მაია ხერგიანმა აღნიშნა, რომ მესტიის საბავშვო ბაღებში შტატით განსაზღვრული არის აღმზრდელ პედაგოგის პოზიცია და საბავშვო ბაღების ნაწილში აღმზრდელ პედაგოგებად დასაქმებულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარვეზით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა განმარტა, რომ საკრებულოს მიერ 2017 წელს დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნები არ არის ურთიერთ თანხვედრაში და აღნიშნული საკითხის მოგვარება დაგეგმილი აქვთ საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის ჩართულობით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის კომპიუტერთა და პრინტერთა აღჭურვის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღი სექტემბერის თვეში აღჭურვილი იქნება კომპიუტერთა და პრინტერთა, აღნიშნულისათვის ბიუჯეტში უკვე გამოყოფილი იყო თანხა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:25

დასრულების დრო - 17:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ფარის საბავშო ბაღის) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ფარის საბავშო ბაღს) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 25 მაისისა.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ხაიშის საბავშო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში - ხაიშის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 2 და 3 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025); სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეოთხე სტანდარტი, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზის გამო ასევე, მორე სტანდარტი მონიშნულია როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებულ წარმომადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ნაწილ დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმომადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმომადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა აღმზრდელების რაოდენობის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა განმარტა, რომ აღნიშნულ ეტაპზე დასაქმებული იყო ერთი აღმზრდელი, თუმცა ბავშვების რაოდენობის ზრდასთან ერთად დაგეგმილია შესაბამისი რაოდენობის პერსონალის დამატება.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა დაინტერესდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის მომსახურების გაწევის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა განმარტა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავდა სპეციალური პედაგოგი, თუმცა ბიუჯეტში გათვლილია თანხა და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ შესაბამისი კადრის აყვანას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:04

დასრულების დრო - 18:13

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ხაიშის საბავშვო ბაღის) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ხაიშის საბავშვო ბაღს) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 25 მაისისა.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ჭუბერის (ლახამი) საბავშვო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა, ნათელა ლურსმანაშვილმა და მაკა მაისურაძემ. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში - ჭუბერის (ლახამი) საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 4 და 5 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2- დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025); სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, კახაბერ ფარცვანიამ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეოთხე სტანდარტი, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მორე სტანდარტი მონიშნულია როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ასევე, 4.3 კომპონენტში ტექნიკური ხარვეზის გამო არ არის დაფიქსირებული ბავშვებისთვის განკუთვნილ სანიტარულ კვანძებში პრივატულობის დაცვასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. მონიშნულია როგორც "შეესაბამება", თუმცა უნდა იყოს მონიშნული "ნაწილობრივად შეესაბამება".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ნაწილ დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა აღმზრდელების რაოდენობის საკითხით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კახაბერ ფარცვანიამ განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში დასაქმებული იყო ერთი აღმზრდელ პედაგოგი და ერთი აღმზრდელის თანაშემწე.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა წყალმომარაგებისა, საკანალიზაციო სისტემისა და გათბობის საკითხით.

სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, გულთამაზე ხოროიშვილმა დააზუსტა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილი იყო ცენტრალიზებული წყალმომარაგებით, ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნაში არსებული ხარვეზი კი მიემართებოდა სასმელი წყლის უვნებლობის საკითხს. დაწესებულების სტატუსის მაძიებელი არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალიზებული კანალიზაციის სისტემით და კანალიზაცია დაერთებულია საასენიზაციო ორმოზე, რომელიც უზრუნველყოფილია თვითწმენდვადი დანადგარით. რაც შეეხება გათბობას, საბავშვო ბაღი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მანა ხერგიანმა ასევე დაამატა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული ჰქონდათ საბავშვო ბაღების აღჭურვა წყლის საფილტრაციო სისტემებით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა რეფერირების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მანა ხერგიანმა განმარტა, რომ გაწერილი აქვთ პროცედურები ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ასევე განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:40

დასრულების დრო -18:47

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ჭუბერის (ლახამი) საბავშვო ბაღის) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ჭუბერის (ლახამი) საბავშვო ბაღს) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების

შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 25 მაისისა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, საბჭოს წევრების კვორუმთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ლატალის საბავშვო ბაღის, მულახის (მუჟალი) საბავშვო ბაღისა და ეცერის საბავშვო ბაღის საკითხების შემდგომ სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს შუამდგომლობას და ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ლატალის საბავშვო ბაღის, მულახის (მუჟალი) საბავშვო ბაღისა და ეცერის საბავშვო ბაღის საკითხების განხილვა გადაიდო 2028 წლის 28 მაისის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. საბჭოს სხდომა დასრულდა 19:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

თ. ჩიკვილაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე

